

**თიბისი ბანკმა რუსთავში 2 ახალი ფილიალი გახსნა**

**15 ოქტომბერი, 2011** - დღეს, ქალაქ რუსთავში, თიბისი ბანკის 2 ახალი ფილიალი გაიხსნება - ქალაქის მთავარ მოედანზე, კოსტავას #18-ში და ასევე ქ. რუსთავის ავტობაზრობასთან.

ამ ფაქტის აღსანიშნავად, საზეიმო გახსნის ცერემონია გაიმართება კოსტავას #18-ში მდებარე ფილიალში, დღეს 12:30 საათზე. ფილიალის საზეიმო გახსნას თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე და ქვემო ქართლის გუბერნატორი, დავით კირკიტაძე დაესწრებიან.

თიბისი ბანკმა პირველი ფილიალი ქ. რუსთავში 1998 წელს გახსნა და მოკლე დროში შეძლო ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი პოზიციების დაკავება. დღეისათვის თიბისი ბანკი ლიდერია ქ. რუსთავში როგორც სესხების, ისე დეპოზიტების ბაზარზე. 2011 წლის 9 თვეში ფილიალის ბიზნეს სესხების პორტფელი გაიზარდა 66%-ით, ხოლო ვადიანი დეპოზიტების პორტფელი 65%-ით.

დღეიდან ბანკის ეს ძველი ფილიალიც განახლებული და გარემონტებული სახით იწყებს მუშაობას.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თიბისი ბანკის სამივე ფილიალი შეიქმნა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომელიც თიბისი ბანკმა 2007 წლიდან პირველმა დაწერა ადგილობრივ ბაზარზე - ეს არის გამჭვირვალე ფილიალები, სადაც მომსახურება ხდება ბარიერების გარეშე, გახსნილ სივრცეში და კლიენტი თავისი თვალთ ხედავს მომსახურების პროცესს.

ფილიალების ასეთი კონცეფცია სპეციალურად თიბისი ბანკისათვის შექმნა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ „სენტეო“. რუსთაველ მომხმარებლებს ამ ულტრათანამედროვე ფილიალების მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა სწორედ დღეიდან მიეცემათ.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ ეორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული ეომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B1 and Ba 3